

# ანუამისი

1883-1889

«მწყემსი» გამოცდის თვეში ორჯერ, უოკელი თვის თხუთმეტს და ოც-და-ათ რაცხეპში.

გაზეთის ფასი:

«მწყემსი»

«მწყემსი» რუსული გამოცემით

12 თვეთ . . . . .	5 მან.	12 თვეთ . . . . .	6 მან.
6 — . . . . .	3 —	6 — . . . . .	4 —

გაზეთის ფულის და უფალ გვარი წერილების გაგზავნა  
შეიძლება ამ ადრესით: აზ კოურსი, ვა კონტორ  
редакции „Михемси“ (Пастыр).

უველა სტატიები და კორრესპონდენციები, რომელიც  
რედაქციაში იქნებიან გამოგზავნილი დასაბეჭდავათ, უთოდ  
ვრცლად და გასაგებად უნდა იყვნენ ავტორთაგან ხელ-  
მოწერილი. ავტორთაგან გამოგზავნილი სტატიები შეიძლება  
ხან-დის-ხან შემოვლებით და შესწორებით დაიბეჭდონ.

სტატია; რომელიც არ დაიბეჭდებან, სამი თვის განმავ-  
ლობაში შეიძლება ავტორებს მათის ხარჯათ უკანვე დაეპრინოს.

სტატიები მიღებიან რუსულ ენაზე დაწერილიც და  
თარგმნით დაიბეჭდებან.

სასურველია და საჭირო, რომ სულიერი მჯურნალი  
იყოს. ხორციელი მჯურნალიც.

ხალხის ჯან-მრთელობაზე ზრუნვა უველასათვის,  
ვინც კი თავის პირად სარგებლობას უპირატესობას  
არ აძლევს მთელი მამულის კეთილ-დღეობის წინაშე  
და ესაც გული შესტკიცა სხვის ტანჯვაზე და  
მწუხარებაზე, — უნდა შეადგენდეს უმთავრესს მოთ-  
ხოვნილებას, რომელსაც ეჭირვება დაუყონებლივი  
ხელის მიყოფა. ამ საქმეს, დიახაც, ევრე უყურებენ  
უველა საზოგადო ასპარეზზე მოღვაწენი, რომელიც  
საზოგადო და სახელმწიფო საქმეების სათავეში ხდება.  
ნან. ამისათვის ჩეც უდროვოდ არ მიგეხინია რამო-  
დენომე სიტყვა გამოვსთვეათ ამ საგნის შესახებ სახ-  
გადოდ და განსაკუთრებით სასულიერო პირთაგან  
ექიმობაზე.

ამ საუკუნის დასაწყისში საზოგადოება კაის თვი-  
ლით უკეროდა და ძლიერ სასარგებლოდ მიანდა  
სამღვდელო პირთაგან ექიმობის ცოდნა.

1867 წლ ამდე უველა სასულიერო სემინარიებში  
მოწაფებს ვალდებულად ჰქონდათ დადგნილი, რომ  
სხვა საგნებთან ერთად შეესწავლათ პირველ-დაწყები-  
თი სწავლაც ექიმობაზე. თუმცა ამ საგანზე კეირაში  
მარტო ერთი გაკვეთილი იყო დანიშნული და მასთან  
ამ საგნის უცოდინარობა არ უშლიდა მოწაფეს შემ-  
დეგ კლასში გადასცელს (ყველასაგან ასე აგდებული  
იყო ეს საგანი), მაგრამ ზოგიერთი მოწაფები მაინც  
გულით ეკადებოდნ ამ საგნის შესწავლას და ამ  
სწავლით უფრო დიდი სარგებლობა მოუტანეს მათ  
საზოგადოებას, ვინემ ბერძნული და ლათინური ენე-  
ბის შესწავლით, თუმცა ამ საგნების სწავლება იწყე-  
ბოდა პირედ კლასებიდგანვე და დღეში, თითქმის,  
ორ-ორი გაკვეთილი იყო თითო კლასში, და ამ საგ-  
ნებში ცუდი ბალის მრღება მოსწავლეები კლასიდებან  
გამორიცხებას უქადოდა. ზარდა ამისა უწმიდესი სი-  
ნოდი დიდ უურადღებას აქცევდა ხალხის ჯან-მრთე-  
ლობის საქმეს და ცდილობდა, რომ მღედლების და-  
ხმარებით ხალხისათვის შემწეობა აღმოეჩინა აგა-  
ძმოფობის დროს. 1810 წელში უწმიდესმა სინოდმა  
გამოსცა ასი ათასი წიგნაკი სახელად «მოკლე დარი-

გება ადვილად წამლობისათვის მრავალ გვართა შინაგანთა და გარეგანთა სნეულებაზა». მს წიგნი, უქალლები ბრძანებით, შეადგინა ერთმა მაშინდელმა გამოქვეილმა ექიმმა კამენეცკი. მა კარაბაღინი დაურიგეს უკალ ეკულების და მღვდლებს მრთმა ექიმმა პ. პლატიტანოვმა დიდის გაჭრებით გადმოთარება ეს წიგნი ქართულს წარმატებით და 1828 წელში 1500 ცალი დაიბეჭდა მოსკოვის სინოდალნი კანტორის სტამბაში. სიქართველო-მცრეთის სინოდალნი კანტორის თითო ცალი ამ წიგნისა დაურიგა ჩვენს ეკლესიებს და მღვდლებს. წიგნი ღირდა 40 კ. თუმცა ამ წიგნს დღეს დადი მნიშვნელობა აღარა აქვს, რადგან 1828 წლიდან ექიმობის სწავლამ დაზანაბიჯი წახდება წინ, მაგრამ მითი დღესაც ბერინი სარგებლობები მრყელებულ საფლებში.

აგერ ერთი საუკუნე თავიდება. მქონები შესავარევად მრავლდებიან, განათლებაც წინ მიღია, მაგრამ ხალხის მუსიკას და ტანჯვა-წერებას სულ უკალთ სნეულებათაგან თუ ემატება, თორებ არასფერი აა აკლდება. მქონები ამტკიცებენ, რომ მკურნალთა და აფთექების გამრავლება შეამცირებს სხვა-და-სხვა სნეულებათაო, მაგრამ ამ გვარი მათი მოსაზრება ყოველთვის მართალი არ არის.

1867 წლის დამდეგს სულ სხვა თუალათ დაუწყეს ცეკვა ექიმობის სწავლების საქმეს სასულიერო სემინარიებში. აღმოჩნდენ ისეთი უკუნტური და ხეპრე აზრის მექონე პირი, რომელიც ამტკიცებდება, რომ ზოგიერთი სემინარიელების ცუდი მიმართულების და მათი მღვდლად წაუსვლელობის მიზეზი სულ ექიმობის შესწავლაა. ზოგნი კი ამტკიცებდება და გაიძახოდენ, რომ ფულები ბერი იხარჯება სემინარიებში ამ საგანზე და სარგებლობა კი არა სიახლო. ცეკლამ ვიცით, რომ როცა საზოგადოების აზრი და მსჯელობა, რომელიმე მიზეზია გამო, სუსტდება და უკულმა მიღის, მაშინ რაც უნდა ხეპრე აზრი წარმოათქვას ერქმებ, თათქმის ყველანი ბანს აძლევენ მასს და ეთანხმებიან და იმის განხილვაში არაენ შედის, თუ რამდენათ მოსაზრინი და სასარგებლოა ეს აზრი. სწორეთ ასე დაემართა საექიმო ნაწილის სწავლის საქმესაც სემინარიებში. მათბაშათ დასახეს ყოველის მხრიდამ: «განაძევეთ ექიმობის სწავლა სემინარიებიდამათ, გამორჩეთ სემინარიის პროგრამიდამ სამეურნეო და საოჯახო საგნების სწავლებაზ!» ითქვა და გათავდა. გამოაძეეს ამ საგნების სწავლება სემინარიების ახლად შედგენილ პროგრამმიდამ. ამ საგნების მაგირ გაძლიერებს ბერი. ნული და ლათინური ენების სწავლება და იმედი ჭრილდათ, რომ მათი შესწავლა გაუსწორებდა მოწაფეებს ხასიათსა და ყოფა-ქვეებს. სამშობლო რუსული ენის შესასწავლად კი ერთი გაკვეთილი იყო დანიშნული კეირაში (ჩეენი ქართული ენის ხენგება ხომ სულ აღარ იყო). აგერ ოც წელიწადზედ მეტი გავრცა და სასულიერო სემინარიებში მოწაფეთა ცხავრებაში და სწავლა-ვანათლებაში შესამჩნევი არა გვინახავს აა. მოსწავლეთა მიმართულება არ გაუმჯობესებულა. ამ დროის სემინარიელები რომ უწინდელ სემინარიელებთან შეეძაროთ, დიდ განსხვავებას ვერ ვთვავებთ პირელებში. ჩეენ აქ, რასაკირეველია, არას გამბობთ იმათხე, რომელნიც სემინარიაში სწავლის დამთავრების შემდეგ უმაღლეს სასწავლებლებში შესულან და იქ დაუმთავრებიათ სწავლა-ვანათლება. ამ პირთა ლრმა განათლებას, შესანიშნავ ნიჭს და ცხოვრების სარბიელზე მრავალ გვარ მოღვაწეობას ყველანი ხედვენ...

დიდათ პატივუმულმა და ღრმად განათლებულება სინოდის ხალმა მაგრე-პროცესურორმა ბ. კ. პ. პობედონოსცემა ამ თანამდებობის მიღებისა თანავე თავისი განათლებული უკუნადლება მიაქცია, სხვათა მორის, ხალხის ჯან-მრთელობის საქმესაც და მოინდობა შეეტყო, თუ რა სარგებლობა მოუტანა საზოგადოების ჯან-მრთელობის საქმეს სასულიერო სემინარიებში ექიმობის სწავლებამ. ამ მიზნით ბ. პობედონოსცემა მიმართა ეპარქიების ყველა მღვდლელთმთავრებს და სოხუმა მათ ეცნობებიათ მისთვის, თუ რომელმა სამღვდელო და საცკლეულო მოსამსახურე-თავანმა სახელდობრ რა მოღვაწეობა ჩაიღინა და დღესაც მოღვაწეობს ხალხის ჯან-მრთელობის საქმეში. თუმცა დღემდისაც არ არის ყველა ეპარქიებიდამ ამ გვარი ცნობები წარდგენილი, მაგრამ, რაც ცნობებიც წარდგინდა, იქიდამაც ცხადათ დაინახავს კაცი, თუ რა დიდი მოღვაწეობა ჩაუდენია და დღესაც სხადის ჩეენი სამღვდელოება ხალხის ჯან-მრთელობის საქმეში. ამ ცნობების შეკრების შემდეგ მრავალი პირი დარწმუნდა, რომ ექიმობის სწავლება სემინარიებში აუცილებლად საჭირო ყოფილა, თუ გვინდა, რომ სულიერი მკურნალი იქმნენ იმავე დროს ხორციელობი მკურნალიც. ამიტომ დღეს ყველებან ცლილობენ, რომ ჩეენ სასულიერო სემინარიებში შემოაილონ ხელ-ახლად ექიმობის სწავლება.

ზანსაკუთხებით დიდ გაჭირებაში არიან სოფ-  
ლელები სხეა-და-სხეა სნეულებათაგან. სოფელში ყვე-  
ლას არ შეუძლია საჭიროების დროს მოუწოდოს  
ექიმს, რაღაც ეს უკნასკნელი ძლიერ ძნელი სამო-  
გარია. სოფლის ხალხშე არც ერთი თანამდებობის  
პირი არ არის ისე დაახლოებული, როგორც სუ-  
ლიერი მოძღვარი. თავისი მოძღვრისა დიდი ნდობა აქვს  
მტკელს და ყოველი გაჭირების და დაღნინების  
დროს მასთან გარბის ჩევვისათვის. ამიტომ ხალხის ჯან-  
მრთელობის საქმე ერთი ორად გაადვილდება, რომ  
მასში მონაწილეობას მიიღებდენ სოფლის საეკულე-  
სოო კრებულნი, რომელთაც, თვით მაცხოვრის  
სიტყვისაგბრ, ედებათ გალად შემწეობა აღმოუჩინონ  
ამგეარ სნეულთა და გაჭირებულთა: «უძლურთა  
გან კურნებდეთო», — უბრძანა მაცხოვარმა თავის მო-  
ციქულებს. სამწყსონი ხშირად მიმართვენ ხოლმე  
თავის ზრუნვისა შემწეობის და დარიგებისათვის ამ-  
გვარ შემთხვევაში. ზოგი მწყემსნი დიდის ხალისით  
აკმაყოფილებენ ხოლმე სამწყსოთა ესრუთ თხოვნას  
და ცდილობენ, აღმოუჩინონ მათ ყოველ გვარი შემ-  
წეობა, რაც კი შეუძლიათ. მაგრამ მღვდლის შემწე-  
ობა ამ საქმეში მოითხოვს მისგან ჯერ, რასკვირ-  
ველია, საქიმო ცოდნას და მერე ნივთიერ შემწეო-  
ბასაც, ურომლისოთაც საჭირო წამლების მოპოვება  
არ შეუძლია. თუ ეს ორიევ პირობა დაკმაყოფილდა, მა-  
შინ გლეხებისათვის შემწეობა საქიმო საქმეში სასურვე-  
ლად დაგვირგენიდება. რაც შეეხება პირებელს პირო-  
ბას, დღეს მოღებულია ზომები მის დასაკმაყოფილებ-  
ლად და ეკალესის მწყემსნი მოკლე ხანში იძღ-  
ნად შეიძენ საქიმო ცოდნათა, რომ ადვილად  
შეეძლებათ პირებელი შემწეობა მის კურნ თავიანთ ავათ-  
მყოფ სამწყსოს. მაგრამ ეს არ კმარა, — საჭიროა  
დაკმაყოფილდეს მეორე პირობაც, — რაც სრულიად  
დამოკიდებულია სახოგადოებაზე და მართებლობაზედ,  
რომელიც უნდა მიეშველონ ამ საქმეში სასოფლო  
საეკულესიო კრებულთა. რაღა თქმა უნდა, რომ  
როგორც საზოგადოება, აგრეთვე მმართებლობაც  
უნდა დაუყოვნებლივ შეუდგენ სამღვდელოებასთან  
ერთად გლეხების სხეა-და-სხეა სენთა და ავათ-მყოფობათა  
წინააღმდეგ მოქმედებას. არის კიდევ ერთი გარემოე-  
ბა, რომელიც სახულიერო განათლების მოყვარეთ  
და მოსურნეთ შეუძლიათ დასახელონ დამაბრკოლე-  
ბელ მიხეხათ მღვდლის და მისი მედაუითებისათვის  
ექიმობის საქმეში. მს გახლავთ მათი პირ-და-პირი  
მოვალეობა, ეკორცა სახულიერო მკურნალთა; რის

ალსრულებაც მათვან მოითხოვს იმდენ დროს, რომ  
სახორციელო მკურნალობისთვის მათ დრო აღარ  
ჩებათ. ზარდა ამისა როგორც მღვდელთ, აგრეთვე  
მათ მცდავითნეთ ჰყავთ თავიანთ სახლობანი და აქვთ  
საოჯახო საქმეებით, რომელიც მოითხოვენ დიდი  
მტკელებისათვის. ნუ თუ ყველაფერი ალალ-ბეღედ  
უწინ დააგდონ მათ? ზანა ამდენი მოთხოვენილების  
დაკმაყოფილებას შექმლებენ ისინი ჯეროვანად? ჩენ  
გვეონია, რომ უწინ. სინოდმა, როდესაც დააგდინა  
სემინარიაში საქიმო მეცნიერების შემთლება, ეს კით-  
ხებიც განიხილა და ჰქონა ეს ორი საქმე — სულიერი  
და ხორციელი მკურნალობა — ადვილად მოსათავსებ-  
ლად ერთმანეთში. მართლაც ეს შეუძლია უარპყოს  
მციცრო კავშირი ხორცა და სულს შუა. წინააღმდეგ  
შემთხვევაში ჩენ იძულებული ვიქნებით უარ  
გვეყო უველა ის თქმულებანი, რომელიც მოგვითხრო-  
ბენ მრავალ გზის განკურნებას წინასწარ მეტყველთა,  
მოციქულთა და განსაკუთრებით მაცხოვრის მიერ  
სხეა-და-სხეა სნეულებით შეპყრობილ ავათ-მყოფებისა. მიციო აგრეთვე, რომ იუდელთა მღვდლების მოე-  
ლებას შეადგენდა გან კურნებულ კეთროვანთა ჯან-  
მრთელობის შემოწმება. მაშინადამე ისინი გარდა  
სულიერ სნეულებათა კურნალებულ ხორციელსა სნეულე-  
ბათაც. ამისთვის ჩენმა თანამედროვე მღვდლებმაც  
სულიერ მკურნალობასთან უნდა შეერთონ აგრეთვე  
ხორციელი ექიმობაცა.

შეელა ზემო მოყვანილი სიტყვებიდამ ცხადია,  
მღვდელს არა თუ არა აქვს უფლება და არ შეეფე-  
რება ხორციელი მკურნალობა, როგორც ამას ზო-  
გიერთინი უგნურად ფიქრობენ, არამედ მისი პირ-და-  
პირი ეალია მოეხმაროს თავის სულიერ შეილს,  
სამწყსოს როდესაც იგი ავათმყოფობით იტანჯება და  
წვალობს. ჩენი საკუთარი გამოცდილებით დაერწმუნ-  
დით, რომ ის მოძღვარი, რომელიც ავათ-მყოფობის  
დროს ეხმარება თავის სამრეცლოს, უფრო მომეტებუ-  
ლად პატივუმულია თავიანთ მრევლთაგან. ვინ არ  
იცის, თუ რა საქმე ჩაიდინეს ჩენ საქართველოში  
ერანგის პატრიებმა, რომელთაც ექიმობის სწავლა ჰქონ-  
დათ მიღებული. ვინ არ იცის, თუ რა დიდი გავლე-  
ნა აქვთ ფრანგების მისიანერებს ველურ ხალხთა  
შორის. შედეგ ჩენ დაწვრილებით მოედებარიკე-  
ბით მკურნალებს, თუ რა ხომები უნდა იტმარონ სა-  
მღვდელო პირთა, რომ თავიანთ სამწყსოთა ჯან-  
მრთელობის საქმეს სასურველი ნამყოფი მოუტანონ.

დებ. დავით დამბაშიძე.

სახელფლი მეურნეობისა და მრეწველობის ნაწარმოებთა  
სახელმწიფო კავკასიის გამოცენა  
1888 წელში.

## გამოფენის წესები და პროცედურა.

პ რ გ რ ა მ ა მ ა მ ა . \*)

### განცენების I: ხენა-თესვის ნაწარმოები.

**გუნდი 1.** პურეული მცენარე: ხორბალი, ქერი, სიმინდი, ფეტვა, ღომი ბრინჯი (ჩალთუქი), ასლი (აჭარა), შერია და მისთანანი, თითო ფუზტედ არა ნაკლები, მათთან მოლაპ შემოსილი წერილი ძნები. ბრინჯი, ასლი, ღომი და ფეტვა უნდა წარმოადგინონ დალერლილიც და დაუღერდეთაცა. ბჟე და ნაძვა.

**შენი უ ვ ნ ა.** წარმოდგენილი პურეულის ნიმუშები, რამდენადაც-ერ შესაძლოა, იმ სახისანი უნდა იყვნენ, როგორიც ბაზარში მოაქვთ მაწარმოებლებს გასაყიდად. ამას გარდა სასურველია, რომ უკვლა-გვარი პურეული მცენარე, შეძლების-და-გვარად, დაწმენდილი და დარკვეული იყოს, უცხა თესლი არა ერთოს-რა და უკვლა რიგი თავანეან ნიმუშს წარმოადგინს. ამასთან სარწყავისა და ურწყავის პურეული ცალკ-ცალკ უნდა იყვნენ წარმოდგენილი.

**გუნდი 2.** საქონლის საკვები მცენარეული. თესლი და წერილი კონები იმ ბალახებისა, რომლის მოყვანას მისდევენ უკვე, ანუ რომელთა მოყვანა სასარგებლოა: იონჯა, კონდარი, უგრეხელი და სხვა ბალახეულის თესლი მიიღება არა ნაკლებ ათი გირ-ვანქისა და მასთან ამ ბალახების კონები, ყვაეილობისას მოჭრილია.

**გუნდი 3.** გამხმარი სახეოთ მცენარეთა ნიმუშები: გურჯუთისა, გერაგელჩაქისა, სელისა კანაფისა, მოლოკასი და სხვ. ზეთის-ხილის ნაყოფი. (ამ მცენა-რეთა თესლი და ზეთის ხილის ნაყოფი ათ გირვანქა-ზედ არა ნაკლები, იმ სახედ, როგორიც ბაზარში ისყიდება).

\*) იხ. «მწევანი»-ს № 5.

**გუნდი 4.** მცენარენი, რომელნიც ძაფისთვის მოკვეთ. ბაზბა; ძაფები ყველა მისი ჯურისა—აქაუ-რისა და უცხა ქვეყნის ნაწარმოებისა, დაწმენდილი და დაუწმენდივი, მასთან ნაჩენები უნდა იყოს, რო-მელ მანქანაზედ არის დაწმენდილი. ძაფები (ბეწვები) და თესლი უნდა წარმოადვინონ, ყველა ჯურისა არა ნაკლებ ათი გირვანქისა. რამი (სართავი ჭინჭარი), კანაფი, სელი და სხვ. თითო კონა გაკეთებული და გაუკეთებელი.

**გუნდი 5.** თამბაქო. უოთოლ-ფოთოლი თამბაქოს ნიმუშები, თავი და მდარე ხარისხისა.

**შენი უ ვ ნ ა.** ფოთოლ-ფოთოლი თამბაქო უნდა გამოიგ-ზავნოს ნაკრაულებად, ცალებად და საზოგადოდ იმ სახით, როგორც შეკრავენ ნოლმე შესანახად და გასაგზავნად. თამბაქოს თესლი თავი და მდა-რე ღირსების თვითეული ერთი მეოთხედი გირ-ვანქა.

**გუნდი 6.** სამღებრიო მცენარეული: ენდრო და სხვ. — განგებ მოყვანილი და ველურად მოსული. ყველა ჯურის საღებავი, რომელიც ამ მცენარეთაგან კეთდება.

**გუნდი 7.** თხელულებანი, მიწის ნიმუშები, სხეა-და სხეა წივთეულობათა ანალიზი (დასხნა) და ხტატი-სტრური ცნობები, მიწათ-მოქმედების ნაწარმოებისა. სარწყავად გაყვანილი არხებისა და სამუშაოთა გვემები, მიწის წარმოების რუკები და სხეა. მიწათ-მოქმედები-სათვის მანე მწერთა კრებულები, შალაფა ბალახები, რომელიც პურეულსა და სხეა მოსახვას მოერევიან და აფუჭებენ (თესლი და თეთოონ მცენარე, ყვაეი-ლობის ღროს მოჭრილი).

### განცენების II: ბაღდასხდა და მებოსტნება.

#### ა. ხილეულის ბაღოსნობა.

**გუნდი 8.** ყველა ჯიშის ხილეული ხეებისა და ბუჩქების ნიმუშები: ნათესი და ამოსული ხეხილი: სამყენი სრულ შტამბოებანი (დილრონი) და ნახევარ შტამბოებანი (მომცრო) ხეები და ბუჩქები, წესირად მოვ-ლილი; მომცრო ტანისა და ფორმინანი ხეხილი იმ გუნდის ყველა ჯიშის ნიმუშში ერთიდამ ხუთ ცალ-მდის უნდა წარადგინონ.

**გუნდი 9.** სხეა-და სხეა ჯიშის ხილი, ხალია ადგილისა და ადგილობრივი სახელის ჩევნებით, ყვე-ლა გვარისა ხუთ გირვანქაზედ არა ნაკლები:

**გუნდი 10.** შესანახად მომზადებული ხილი: და-  
ჩირული—ყველა რიგისა გირვანქაზედ არა ნაკლები:  
ჩადებული, მურაბად მოხარმული, ყველა გვარისა ორ-  
ორ გირვანქაზედ არა ნაკლები. ბაქმაზი, მაშარაბი და  
სხვ. თითო—გირვანქაზედ არა ნაკლები.

**გუნდი 11.** ხეხილისა და ხილეული ჯავნარის  
თესლეული, ყველა გვარისა თვითო გირვანქაზედ არა  
ნაკლები.

### ბ) დეკორაციული ბაზოსნობა.

**გუნდი 12.** ამოსული და დათესილი ნიმუშები  
ლიკის გვარი და ფოთლოვანი დეკორაციული ხეებისა  
და ჯაგებისა.

**გუნდი 13.** დეკორაციული ხეებისა და ჯაგების  
ნიმუშები, რომელიც გარეთ ჰაერზედ იჭრდებიან,  
აგრეთვე გარეთ ჰაერზედ მოხარდი ერთ-წლოვანი და  
მრავალ წლოვანი ყვავილიანი მცენარისა.

შენიშვნა. ექსპონენტებს ნება აქვთ გამოჭიბონ სა-  
კონკრეტოდ აგრეთვე არანურების და უქნის მცენა-  
რები, მაგრამ მათი მოვლა-კი ჰატრონების მოვა-  
ლეობა იქნება.

**გუნდი 14.** დეკორაციული მცენარეობის თესლე-  
ბი ყველა რიგისა სამ მისხალზედ არა ნაკლები.

### გ) მებოსტნეობა.

**გუნდი 15.** ბოსტნის მწვანეული და სხვ. მოსა-  
ვალი ჯალი.

**გუნდი 16.** იგივე ნაწარმოები შესანახად მომზა-  
დებული; გამხმარი ბოსტნეული, მწვანილი და ჩადე-  
ბული მწნილები.

**გუნდი 17.** საბოსტნე მცენარეთა თესლეული  
ყველა რიგისა თეითო მეოთხედ გირვანქაზედ არა  
ნაკლები.

**გუნდი 18.** სამკურნალო (სააფთიაქო) მცენარეე-  
ბი—გარეული და შინაური მოყვანილი, რამდენიც მათ  
წარმომდგენელებსა ჰსურთ.

**გუნდი 19.** იარაღი, ავეჯი და მოწყობილობა,  
რომელნიც-კი იხმარებიან ნაყოფისა მცენარეების მო-  
კლის დროს, ან ნაყოფის მოკრებისათვის, შენახვისათვის,  
გზად გამგზავრებისთვის, დაწმენდისთვის და ხილისა  
და მწვანეულის გახმობისთვის. ყველა ამ სავნების  
მოდელები.

**გუნდი 20.** სურათები—ნახატი და ფოტოგრაფი-  
ული ხილისა და ბოსტნეულისა, კლერტის ნაწილითა  
და ფოთლებით. ხეხილის ბალებისა და ბოსტნების  
გეგმები და ლწერანი. სამეცნიერო ანუ ხალებ-მიცე-  
მო პზრით დასაფუძნებელი, ბალოსნობის სკოლის  
პროექტები და საერაოდო ანგარიშები. მთელი მხრი-  
სა ანუ რამე ადგილის ბალოსნობისა და მებოსტნეო-  
ბის აღწერა. ბალოსნობისა და მებოსტნეობისთვის  
მავრე მწერთა აღწერა და მათ შინააღმდეგ საშუალე-  
ბის ჩვენება; აკრეთვე სხვა თხზულებანიც, რომელთა  
მიზანი ადგილობრივი ბალოსნობისა და მებოსტნეობის  
წარმატება.

შენიშვნა, მე-19 გუნდში რესერტისა და უცხო ქვეყნის  
ფინანსებისაც შეუძლიანთ მონაცილეობა მიღონ.

### განუვაფილება III: მეღვინეობა.

**გუნდი 21.** სხვა-და-სხვა ღვინის ნიმუშები, კავ-  
კასიში და კასპიის-იქითა თემი ნაკეთებისა, ყველა  
გვარისა ორ-ორ ბოთლზედ არა ნაკლები.

**გუნდი 22.** ღვინისაგან ნაწარმოები: ჭაჭის არა-  
ყი, მმარი, ღვინის მარილი, გამხმარი სადედები და სხვ.

**გუნდი 23.** იარაღი და მომართულობა დასაწუ-  
რავად, დასაღულებლად, გამოსაყენებლად, გადასაღებ-  
ლად, გასაწურავად, დასახრხოლებლად და შესანახად  
როგორც ღვინისა, ისე მისგან ნაწარმოებისა. გოგირდის  
შესაყრელი საბერველები, ობისა და სხვა ვაჭის სწეუ-  
ლებისათვის წამლის შესასხმელი პულერიზატორები  
(შხაპუნები); ინჟექტორები, ფილოქსერის მოსასპობად  
რომ იხმარებიან. ყველა სხვა მომართულობა და წერი-  
ლი იარაღები, რომელნიც-კი მეცენარეობაში და  
მეღვინეობაში იხმარებიან; მარნებისა და სხვა მეღვი-  
ნეობისთვის საჭირო მომართულობის მოდელე-  
ბი.

**გუნდი 24.** ღვინის გამოსაძიებელი იარაღები.

**გუნდი 25.** რამე სწეულებისაგან ანუ მწერისა-  
გან გაუუჭებული ვაზის ფოთლებისა, რქებისა და ფე-  
სვების ნიმუშები. კრებული იმ მწერთა და სხვა მჭამე-  
ლთა, რომელნიც ვაზისათვის მარნები არიან ანუ მათი  
სურათები; სწეული (წამხდარი) ღვინის ნიმუშები, მათი  
სწეულების ჩვენებით.

შენიშვნა, მე-23 და 24 გუნდში ექსპონენტად ყოფნა  
რესერტისა და უცხოების ფინანსებისაც შეუძლიათ.

**განცოდილება IV:** მეაბრეშუმეობა და მეფუტეჭრეობა.  
თესლი არ არის მომზადებული, არ არის მომზადებული და არ არის მომზადებული.

a) მეაბრეშუმეობა:

გუნდი 26. იარაღები და მოწყობილობა ჭიის გამოკვებისათვის.

გუნდი 27. ჭიის პარკი: გადარჩეული, გადერჩეული, გამხმარი და გაქაჯული.

გუნდი 28. თესლი პარკუტებში პეპელინად და აგრეთვე შემზადებული. თესლის შესამჩადებელი იარაღები და მოწყობილობა.

გუნდი 29. იარაღები და მომართულობა, რო-  
მელნიც ჭიის პარკის გახმობისათვის, გადარჩევისათვის და ჩაწყობისათვის იხმარებიან.

გუნდი 30. აბრეშუმი; თეითონ მეაბრეშუმეთა-  
გან ამონაცვევი ხელით ამოსახვევზედ და ფაბრიკულ  
მანქანებზედ. აბრეშუმის ამოსახვევი იარაღები და მოწყობილება. ამონაცვევი აბრეშუმის ნაჩერები.

გუნდი 31. დართული აბრეშუმი: შინაურულად,  
ნახევარ ქარხნულად და ქარხნულად. აბრეშუმის და-  
სართველი იარაღები და მოწყობილობა.

გუნდი 32. აბრეშუმი: დაძახვილი, საკერავი და  
საქარგავი. აბრეშუმის დაძახვისათვის იარაღები და მომართულობა.

გუნდი 33. აბრეშუმის ფარდები: შინაური შე-  
ლებილი და ქარხნებში შელებილი აბრეშუმი. აბრე-  
შუმის შესაღები იარაღები და მორთულობა.

გუნდი 34. მეაბრეშუმეობის ხელობის ამხსნელი  
და მაჩვენებელი კრებულები, სქემები, სურათები,  
თხზულებანი და დასახმარებელი საშუალებანი მეაბრე-  
შუმეობის შესასწავლებლად.

გუნდი 35. მეაბრეშუმეობის მრეწველობა.

### b) მეფუტეჭრეობა.

გუნდი 36. სკები და იარაღები.

გუნდი 37. თაფლი, ცვილი და ცვილის ნაწარ-  
მოები.

გუნდი 38. თაფლის მქონე მცენარეთა გერ-  
ბარიები. მეფუტერეობის ხელობის ამხსნელი და მაჩ-  
ვენებელი კრებულები, სქემები, სურათები, თხზულ-  
ებანი და სხვა.

**განცოდილება V:** რძის მეურნეობისა და საქონლის  
ნაწარმოები.

a) რძის ნაწარმოები.

გუნდი 39. რძი, რძის ნაღები, მაწვნის ნაღები,  
ხაჭო, მაწონი და სხვ.

გუნდი 40. კუმისი, ქეფირი და რძის არაყი.

გუნდი 41. ერბო, აღილობრივი წესით და  
ეკროპიულად ნაკეთები.

გუნდი 42. ყველი ეროვნულად მომხადებული,  
ყველა გვარისა თვითო კვერცულზედ არა ნაკლები.

გუნდი 43. ყველა გვარი ყველი აღილობრივი  
წესით გაკეთებული, აგრეთვე შორი, ჭორათანი, კუ-  
რუტი და სხვ. თეითვეული 3 გირეან ქაზედ არა ნაკლები  
ყველები შეიძლება იმ ჭურჭლით წარმოპოვნილ, რომელშიც აკეთებენ.

გუნდი 44. დერიტა (მაჭიკი) და დერიტის  
დედა, ერთოსი და ყველის სალებავები და სხვა წიეთი-  
ერება, რომელსაც ამ ნაწარმოებს ურჩევნ.

გუნდი 45. ცალკე მეურნეობათა აღწერა, სურათე-  
ბი, გეგმები, მოდელები, ნახატები ყველის ქარხნებისა,  
ფერმებისა, საქონლის ბოსლებისა და სხვ. საძოვრების  
აღწერა. საძოვრის ბალახების გრძარიელი (გამხმარი ბა-  
ლახების კრებული).)

გუნდი 46. რძის მეურნეობის იარაღები და მო-  
წყობილობა, რომელნიც იხმარებიან წველისთვის რძის  
გადასატანად და დასაყენებლად. საღვევებლები. ყვე-  
ლის საკეთებელი იარაღები, რძის ნაწარმოების საზი-  
დი და შესანახი ჭურჭლი: თუნუქისა, კათხები,  
ყუთები, ტიკები, გუდები და სხვა.

გუნდი 47. რძის გამოსაძიებელი და გამოსაკვ-  
ლევი იარაღები.

შენი უგნა. მე-46-და 47 გუნდში მონაწილეობის  
მიღება შეუძლიანა რესერვისა და უცხოეთის ფირ-  
მებსაც.

### b) ბირუტეები საქონლის ნაწარმოები

გუნდი 48. მატული, ბეწვი, ჯაგარი, თხისა და  
თივთიკი.

გუნდი 49. და სიმსუქნე.

გუნდი 50. კომლში გამოყვანილი (ლორი) და ჰაერზედ გამხმარი ხორცი (ჩაჩი), უკელა გვარი შინა-ურ პირუტყვისა; ჩაღებული ხორცი (კონსერვები): ჯურმა, ჩაჩი, აპურტ და სხვა.

გუნდი 51. მე-48, 49 და 50 გუნდის ნაწარმოები თვითველი რიგისა სამ გირვანებაზე ნაკლების წარმოდგენა არ შეიძლება.

#### განერაფილება IV: მკონება.

გუნდი 51. ხას ჭიშები და შინა მრეწველობაში ხახმარი ხეები, კუნძებად, და გერბარიული ნიმუშები ბუნებითად მოზარდისა და ხელოვნურად გაშენებული ტყეებისა. ამ ჯიშების თესლი.

გუნდი 52. ტყის მოხმარების ნიმუშები: კორ-ქები, მორები, შპალები, სალტები, რკლები და საზო-გადოდ ხიდგან უკელა მარტივი ნაწარმოები. მეკათხ-ობის ნაწარმოები; ნახშირი.

გუნდი 53. გამხმარი ხის ნაწარმოები; ტყავის მოსაქნელი მასალა; ბუნებითად მოზარდი ტყის ნა-წარმოები აღამიანის საჭმელად და წამლად ხმარებული.

გუნდი 54. მანქანები და იარალები, რომელნიც ტყის წარმოებაში იხმარებიან. მოდელები გეგმები, ნა-ზატები და ფოტოგრაფიული სურათები იმ მოწყობი-ლობისა, რომელნიც ტყისა და მისი ნაწარმატების მოხმარებაში არიან სასარგებლობის.

გუნდი 55. ცალკ-ცალკე ტყისა და ტყის მეურნეო-ბის აღწერილობაში, ტყის რუკები, პროექტები იმისთა-ნა ტყის გაშენებისათვის, რომელნიც მეწყერებისა, ფლა-ტების და სხვა მისთანთა შესამაგრებლად არიან სა-სარგებლობი; აგრეთვე სხვა გვარი სამეცნიერო შრომა ამ ქვეყნის მეტყების შესახები.

გუნდი 56. ტყის მაენე მწერების კრებული და აგრეთვე ტყის ხეებისა ბუნქების ის ნაწალები, რომელნიც რაიმე სენისაგან არიან გაფუჭებული.

#### განერაფილება VII: მეთევზება.

გუნდი 57. იარალი და სხვა ნივთები თევზის დაჭე-რისათვის და მოშენებისათვის ხმარებული.

გუნდი 58. მეთევზების ნაწარმოები: ახალი და შესანახად მომზადებული; ახალი თევზი, ხაზილალა

წელა, გამზმარი და გამოყვანილი თევზი, დოში, ზურ-გიელი, წებო და სხვა. ხიზილალა თუნუქების კოლოფუბში ან კათხებში უნდა იყოს ჩაღებული, ისე, ორგორც საბაზროდ მხადეგება; თევზები მოლიანად უნდა იყოს წარმოლგენილი.

გუნდი 59. ოხულებანი თევზის დაჭერაზედ და თევზის მოშენებაზედ ნაწერი.

(უმდეგი იქნება).

«მშემსი»-ს კორსალიდენცია დაბა სუჯუნია.

მოელს გურია-სამეგრელოის ეპარქიაში მარტო დაბა სუჯუნაში არსებობს დღეს ერთი საეკულესიო-სამრევლო სკოლა ქალთათვის. მს სკოლა დაარსდა აქ 1886 წელში ბლალოჩინის დეკანოზის სეიმონ მლიაებს და მასწავლებლის შილიმონ მატკავას თაოს-ნობით. დ. სუჯუნის მეციდრითა სასიხარულოდ დაურ-ჩათ სკოლის დაარსება. სკოლის განსასათანავე სკო-ლაში შესვლის მსურველი ბევრი აღმოჩნდა, მაგრამ ბევრს, ადგილის უმექონელობისა გამო, უარი ეთქვა. ღღეს სკოლაში სწავლობს ორმოცი ყმაწვილი; ამათ-ში 30 ქალია და 10 ვაჟი. სწავლის საქმე კარგად მიღის. შალებს სხვა სავალდებულო საგნებს გარდა ასწავლიან: კერეას, ქსოვას და ქარგეას. ზალობას ამ სკოლაში ასწავლის ბ. შილიმონ მატკავა. მოსწავლე ქალებისაგან არის შედგენილი მგალობელთა გუნდი, რომელსაც რიგიანად შეუძლია მთელი წირვის წესის გალობა ეკვლესიაში, შოევლივე ამისათვის მაღლო-ბის ღირსია სკოლის მასწავლებელი ქალი ქ. ნ. მუ-გუნაშეილი, რომელიც მუყიათად ეკიდება თავის მო-ვალეობას.

ღღილვან სკოლის დაარსებისა დიდ შემწევისა აღლებს მასს ნივთიერის მხრით ბლალ. დეკანოზი მ. სიმონ მლიავა და ბ. შილიმონ მატკავა. სკოლის დაარსების დროს პირველმა შესწირა ორმოცი მანე-

თი და მეორემ ყრთი თუმანი. ამათივე თაოსნობით სკოლის სასარგებლოდ კაი ხალი ტული შეიკრიბა და დღესაც იკრიბება ხალხში. როგორც გავიგეო, იმდენი ტული შეკრიბილა სკოლის სასარგებლოდ, რომ ადეილად შეუძლიათ საკუთარი სახლი შეიძინონ სკოლისათვის. თუ ეს მოხერხდა, შეიძლება ზემოთ აღნიშნული პირების მეცადინეობით გაიხსნას მეორე კლასიც და ამით ცოტათი მაინც დაქმაყოფილდება სუჯუნელების ნატერა.

აქეე არ შევიძლია არ აღნიშნოთ ისიც, რომ ბლალი დეკანზე მ. სიმონ მლიავას ამ სკოლის გარდა დიდი ღვაწლი მიუძღვის საზოგადოდ მის საბლაობინო მაჩრაში საეკულესიო-სამრევლო სკოლებზე. მ. დეკანოზი ყველგან უხსნის ხალხს, რომ სწავლა ყველასათვის საჭიროა და ამიტომ ურჩევს ყველას, რომ როგორც ვაჟები, ისე ქალებიც შეიყვანონ სკოლებში.

ფ. მიქაელ.

## ახალი აშშები და შენიშვნები.

აპრილის თოვის თერამეტს პხალს-სენაჟში კრება აქვსთ ადგილობრთი სასულიერო სასწავლებლის ოლქის სამღვდელოების დეპუტატებს. მა კრებაზე საბოლოოდ უნდა გადაწყვდეს სასულიერო ოთხ კლასინი სასწავლებლის პხალ-სენაჟში დატოვება და ან სხვა ადგილს გადატანა.

\* \* \*

როგორც გავიგეო, მაისის თოვეში იმერეთის ეპარქიის სამღვდელოების დეპუტატების კრება არის დანიშნული ქ. შეთაისში. პრებამ, სხვათ შორის,

უნდა განიხილოს თავისი სასულიერო სასწავლებლის ზოგიერთი საქმები.

\* \* \*

ზორის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველმა ბ. დათოშვილმა თორმეტი წლის განმავლობაში სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველად მსახურებისათვის მიიღო ანას მესამე ხარისხის ორდენი.

\* \* \*

მსევე ორდენი მიუღიათ ბჟეზეთის ეპარქიის მღვდელს მ. იასონ ჩახანიძეს და ვლადიკავკავის ეპარქიისას მ. ლევრენტი შერეთელს მათდამი სამრევლოებში მართლ-მაღიდებელი ქრისტიანობის გავრცელებისათვის.

\* \* \*

ჩამოვიდა უწმიდესი სინოდის უქაზი, რომლის ძალით სასულიერო სასწავლებლების მასწავლებელთ აღკრძალული აქვსთ სხვა სასულებლებში გაყვეთილების აღება, თუ ამაზე ნება-რთვა არ ექმნათ ადგილობრითი მღვდელთ-მთავრებისაგან.

\* \* \*

12 მარტს, პეტერბურგში, სამების ეკულესიაში წირვის წინ მოსკოვის და მოლომენსკის მიტროპოლიტ იოანე იკეს უკურთხებია ერთი ბერ-მონაზონი ქალი სახელად იუვენალი ბოდბისის დედათ-მონასტრის წილამდებრად.

\* \* \*

ასტრახანიდამ გაზეთს «Нов. ინоз.»-ს სწერენ შემდეგს: «ამ დღეებში მე ვიყავი იმ ეკულესიაში, რომელშიც დასაფლავებული არიან საქართველოს ბატონის შეილის ბაქარის ქალი პრასკოვია და მეუღლე ქახეთის გლივის ზურგნისა. ბაქარის ქალი დასაფლავებულია საკურთხეველის მახლობლად.



მის სასაფლაოს შემოთ კედელზე არის შემდეგი წარწერილი მართულია და რუსულის ენგბზე: «მაიილ-ბული ქვეშეერდომილი: —ჯვარსა მართლის: მეფის ბაქარის: ასული ჩხეილი: პრასკვია: მომისხედოთ: ყოველთა: სოფელმან ამან მიმილო თვესა ივლისის ივ-ს შრისტეს აქთ ჩლზ». ბაჭონის-შეილის ბაქარის ქალის სასაფლაოს პირ-და-პირ. დასაფლავებულია ზურგენის მეუღლე, რომლის საფლავის ქვაზე არის შემდეგი ზედ-წარწერა მართულის ენაზე: «საფლავსა ამასა შინა მიეპარე სხეული ასული ლელა თანა-მომცედრე ძახეთის მდინარისა ზურგენისა: ვინც წაიკითხოთ, შენდობა მიბრძანეთ». მს ეკულესია არის აღმენებული ღვთის-შშობლის დაბადების სახელზე; როგორც ზეპირ - გადმოცემა მოგვითხრობს, იგი აღუშენებია ზურგენის მეუღლეს. ამ ეკულესია შევე ვნახე ერთი ძველი ქართული სახარება, რომლის პირველ ფურცელზე შემდეგი ზედ-წარწერია: «სადიდებელად წმიდისა სამებისა დიდად ამაღლებული-სა სრულიად რუსეთისა და თეით-მპკრობელისა კეთილ-მორწმუნისა იმპერატორისა ანნა იოანნეს ბრძანები-თა მეფისა ბაქარისა ვახტანგის ძისათა.

«შენდობითა და კურთხევითა წმიდითა მართლ-მადიდებელთა სროდთა საფასეთა და წარსაღილებლად პრექტისკოპოსისა იოსებისათა: გაკერდა საბეჭდავი და დაიბეჭდა წმიდა ქსე სახარება დიდსა სამეუფოსა ქალაქ-სა მოსკოვს, შრისტეს აქთ ჩლპ (1729 წ.), თოვესა ივნისის ივ-ს». ამ ფურცლის მეორე ვერტლზე არის გამოხატული საქართველოს გერბი. ამავე ეკულესიაში ვნახე ვერცხლის პატარა ჯვარი, რომელიც შეუწირავს ფილაცია ქართველს. როგორც შევიტყე, ამ ეკულესის წიგნთ-საცავში ყოფილა მრავალი მართული ხელო-ნაწერები».



სწავლი და შეცნიერება ქრისტიან-ნობრივ სარწმუნოსა და კეთილ-გნეზება, ზე

## სუცემა,

თქმული დღესა ხარებისასა.

ძმანო და დანო, მართლ-მადიდებელნო ქრისტიანენო!

თუმცა აწინდელი დღესასწაული დიდ არს და სასიხარულო ყოველთა კაცთეის, გარნა უმეტესად დედა-კაცთეის, რაღანაც ვდღესასწაულობთ ჩვენ ხარებასა ჟოვლად-წმიდისა მარიამისასა. ამისთვის დღეს სიტყვასა და მოძღვრებასა ჩვენსა მიეკცევთ განსაკუთრებით ქრისტიანულთა ქალთა მიმართ. ამ განზრახვით, პირველად მოუყვან და წავიკითხავ თქვენს წინაშე რაოდენთამე მუხლთა წიგნისაგან ისუ ზირაქისა, რომელიც იყო წარჩინებული სიბრძნითა მწერალი ძელისა აღთქმისა. შევიტყოთ, რა ზნეობას მოითხოვდა იგი ქალთაგან, რას, უქებდა იგი ქალთა და რას უწერებდა მათ, რა შეხედულობა და აზრი ჰქონდათ ძელი აღთქმის მწერალთა დედა კაცების ზნეობაზე და ყოფა-კცევაზე. მს მით უმეტესად იქნება დღეს შესაფერი, რომ ამას წინად, თეით ამ დღესა-სწაულს, ჩვენ მოვიყვანეთ და აღისხენით აზრი და შეხედულობანი ქალთა ზედა მეორისა, უმეტესად შესანიშნავისა და ბრძნისა, ძელი აღთქმის მწერლი-სა, ესე იგი სოლომონ ბრძნისა. მაშასადამე შეწევი-თა ლეთისათა, ვიწყოთ ჩვენი საუბარი.

\*) თქმულ არს, ქუთაისის სობოროში იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელის მოქა.

ისუ ზორაქი წიგნსა შინა თვისსა, პირველად, ოცდა მეტეთესა თავსა შინა, აღწერს თვისებათა და ჩეკულებათა ცუდისა, ბოროტისა დედაკაცისასა, შერმედ, ოცდა მეექვესესა თავსა შინა აღწერს კეთოლსა, სათნოსა ქალსა. ჩეკნუ პირველად მოვიყენოთ სიტყვები ოცდა მეტეთისა თავისა, და მერმე თუცდა მეექვესისა.

უმჯობეს არს ცხოვრება დამთა თანა და კეშაბთა, გიდრე ცხოვრება დედა-ქაცისა ბოროტისათანა (თავი 25, 18).

იქნება ეს სიტყვები ვისმეს თქვენგანს ეჩვენოს ნამეტან ფიცხლად და უადგილოდ, მეტადრე ვისაც არ გამოუკდია ცხოვრება ბოროტისა დედაკაცისათანა, ის იფიქრებს ამ სახით. მაგრამ თუ ჰკითხავთ იმ კაცებს, რომელთაც დიდხანს უცხოვრიათ ბოროტთა დედაკაცთა თანა, ისინი დასთანხმდებიან. ისუ ზორაქის ახრსა. მართლა, ერთობ დიდი უბედურება და მოუთმენელი განსაცდელი არის ცხოვრება ბოროტისა დედაკაცისათანა.

სიბოროტე დედაკაცისა შეუცვლის სახესა მისსა, და დაპანელებს შინსა მისსა, ვითარდა ძაბა (თავი 19). ამ მუხლს ბეჭრი აღსნა არ უნდა. სიბოროტე გულსა შეცვლის და გააფუჭებს სახესა, არა თუ დედაკაცისას, არამედ მამაკაცისასაც; მაგრამ, რადგანაც პირისახეს დედაკაცისათვის უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე მამაკაცისათვის, ამისთვის აქედან ის უნდა ვისწავლოთ, რომ სიბოროტე გულისა ამ მხრითაც უფრო დიდ ვნებას აძლევს დედაკაცს.

მცირე არს უოვედი სიბოროტე წინააღმდეგ სიბოროტისა დედაკაცისა (მუხ. 21), — ეს იგი დედაკაცის სიბოროტე უფრო დიდი არის, ვიდრე სხვა სიბოროტე. რისთვის? მისთვის, რომელ ქალს ღმერთმან მისცა უფრო ჩვილი გული, ლმობიერი ხასიათი, და თუ ქალმან ეს ბუნებითი თავისი თვისება შესცვალა, ბოროტი შეიქმნა, უფრო საძაგელია.

ასეს და ურცხვინოება და კდება დაზი დედაკაცია, უკეთ ხელმწიფებს ქმარსა მისსა (მუხ. 24),

— ეს იგი, თუ დედაკაცი უფლობს, ანუ უფროსობს თავის ქმარხეო, ის დოდი სირცევოლი, კდება და ურცხვინოება არის. იქნება აქ ენმემ ამის წინააღმდეგი იფიქროს: განა არ შეიძლება, რომ ზოგჯერ ცოლი უფრო კუუიანი და მხნე იყოს, კიდრელა ქმარი მისი? ცუდი რა იქნება, რომ იმან დაიწყოს უფროსობა ოჯახში, და ამათ ოჯახი გაკეთდეს? არა, დანო ჩემნო! შეროსობა და უფლება ცოლისა ქმარსა ზედა, როგორც ძეგლს აღმოჩენის შემაში, აგრეთვე არც ახალს აღთქმაში არ არის შენდობილი. რაც გინდა უმჯობესი და უგონიერესი იყოს ცოლი ქმარსა ზედა, მანც იმას უნდა ემორჩილებოდეს. მჯახის წარმატებას და გაკეთებას ეს არ დაუშლის, შმრის პატივის ცემა და მორჩილება შეიძლება კეთილად შეერთდეს ზრუნვასა, შრომასა და გაკეთებასა ოჯახისასა.

გული მდაბალი და შირი მუშაქარე და დაწელულება გულისა დედაკაცი ბოროტი (მუხ. 25), — ეს იგი ქმარსა ბოროტის დედაკაცისასა პირი მუშაქარე აქვს და წელულება აქვს გულში.

ხელით უძლური და მუხლით დასხნილი დედა-გაცი, რომელიცა არ ქარტის ქმარსა მისსა (მუხ. 26). დედაკაცისაგან დასაბამი ცოდვისა, და მით მოვევდებით უკვენი (მუხ. 28).

მაგ სასტიკად და ფიცხლად აღწერს ისუ ზორაქი ბოროტსა, ცუდია დედაკაცსა; გარნა, ნაცელად ამისა, იგივე ისუ ზორაქი ძრიელ შეამკობს და აქებს დედაკაცსა კეთილსა.

დედაკაცისა კეთილისა სახატურება არს ქმარი, და ჰიცხები დღეთა მისთა მჩხაბლ (თავ. 26, 1). მაგ იგი ბეღნიერი და სანატრელი არის კეთილი ქალის ქმარი, მისი ცხოვრება ქვეყანაზე ორ-კეც იქნება, ეს იგი ერთი ორად გაგრძელდება. ამ ახრს, მე მგონი, ყოველი კაცი და ქალი დასთანხმდება. მინ არ იცის, რა ბეღნიერება არის კაცისათვის კეთილი ცოლი, ისიც უკეცელია, რომ ამისთანა ქალის ქმარი უფრო დიდ ხანს იცხოვერებს ქვეყანასა ზედა. როგორც შეოთი და მწუხარება შეამოვლებს ცხოვრებასა კაცისასა,

მსგავსად მუციკურობა და სიხარული შინაური გააგრძელებს მას.

დედაქაცი გეთადი ახალებს ქმარს მისსა, და წელთა მისთა აღავსებს შშევიდობითა (მუხ. 2).

მდინალი დედაქაცი ახალებს ქმარს მისსა და ძელთ მისთა განაპოხებს ხელოვნება მისა (მუხ. 16).

ჩიჭი უფლისა—დედაქაცი მდგმარე (მუხ. 17).

მდილი მდილისა ზედა დედაქაცი მორცეკედი. (მუხ. 19).

ამა, როგორ შეამკინს ისუ ზირაქი კეთილსა დედა-კაცსა. სჩანს, რომ ძეველ ალთქმაშიაც დედაკაცებში მოსწონდათ მორცეველობა, მდუმარება, კეთილობა, მუციკურობა, ჯჯახის მეურნეობა და ოჯახისათვეს მხრუნველობა. თუ ძეველ ალთქმაში ესრეთი იყო მხედველობა და დანიშნა ქალისა, მით უმეტესად ახალ ალთქმაში კაცნი უნდა იყვნენ შემკობილი იმავე და უმჯობესითა სათნოებითა.

დანო ჩემნო, მორწმუნენო ქრისტიანენო, ქალისაგან ახალი ალთქმის სწავლა უფრო ამაღლებულისა სათნოებასა მოითხოვს და უფრო ამაღლებულისა დანიშნულებასა უჩენებს მას. ამაზე დიდი და ერცელი ლაპარაკი არის საჭირო, ზაგრამ მეშინის გაგრძელება სიტყვისა, რადგანაც გრძელი წირვ-ლოცვა იყო და დიდი ხანია სდგენართ აქ. ამისთვის ახლა მხოლოდ რაოდენთამე მოკლეთა სიტყვათა შინა აღისხნი თქვენ, რა მნიშვნელობა აქვს და როგორი უნდა იყოს ახალი ალთქმის ქალი.

როდესაც გავიხსოვნებთ ქრთად ყოველთა იმ სიტყვათა და სწავლათა, რომელი არიან თქმული ახალი ალთქმის საღმრთო წიგნებში, შესახებ ქალების ზნეობისა და მათი ყოფა-ქცევისა. და, ამასთანავე, როდესაც ქრთად წარმოვიდგნო ყოველთა მათ სახეთა და მაგალითთა, რომელი მოგვცეს ჩვენ მრავალგვართა წმიდათა ქრისტიანულთა ქალთა, ქალწულთა, მოწიმეთა, ლირისთა მონოზონთა, დედათა, მეუღლებნოეთა და სხვათა ქალთა, წმიდათა შორის შერაც-

ხ-ლთა, და, მეტადრე, როდესაც წარმოვიდგნო იმ ქალწულსა, რომელსა დღეს მთავარ-ანგლოსმან მიართვა ხარება და რომელსა წმიდა ეკკლესია უწოდებს: უპატიონსნეად ქერობიმთასა და აღმატებით უზესთაესად სერაბიმთასა, მაშინ მოკლედ ისე უნდა გამოვსთქვათ, რამ ქრისტიანულის ქალის მნიშვნელობა ის არის, რათა იყოს იგი მცენი, განმამტკიცებელი, გან მარტიველებელი სიწმინდისა, პატიასანი ზნეობისა და მამყარებელი და აღმაღლორძანებელი ქრისტიანულის ცოლ-ქრისტიანისა, მამა-შეიღლობისა, ერთი სიტყვით, ოჯახის ცხოვრებისა, სიწმინდისა და ზნეობისა. რა დიდი და მაღალი არის ეს მნიშვნელობა, ამას მოკლედ ეერ ახსნის კაცი. მხოლოდ იმას დაუმატებ: ნერარ არს ის ქვეყანა და ერი, რომელსა შინა ქალი არიან წმინდისა ზნეობისა, პატიონსნის ცხოვრებისა. ის ქვეყანა და ერი ყოველთვის იქნება წარმატებასა შინა ბედნიერებასა. წინააღმდეგ ამისა, უბედურ არს და სატრალ ის ქვეყანა და ერი, რომელსა შინა ქალთა დაიკიწყეს თვისი მნიშვნელობა, მიიღეს ცუდი ზნეობა, დაიწყეს დაფანტული, ქრისტიანულის ზნეობის წინააღმდეგი ცხოვრება. მალე წარხდება და დაეცემა ის ქვეყანა და ერი.

იქცმ მაცხოვარო! მეოხებითა პოვლად-წმიდისა დედისა უენისთა, მოგვეც ჩვენ პირველი და განაშორებულგან მეორე. ამინ.

სიტყვა პირილე ფილოსოფოსისა ყოველთა კაცთა მიმართ მათ განაცხადებ სახელების შესახებ.

ნათარგმნი რუსულიდგან.

აი მათრობელი სამელი რას მოგეითხოობს ყოველთა კაცთა, მღვდელთა, მეფეთა, თავადთა, მდიდართა, ლარიბთა, გლახაკთა, ქალთა, მოხუცებულთა და ჭაბუკთა: მე ვარ დამათრობელი სამელი და ძლიერი ყოველთა ნაყოფთა ქვეყინისა-

თა. ძირისაგან მაღლისა, ტომისაგან ძლიერისა, დე-  
დისაგან კეთილ-შობილისა და შექმნილ ეარ ლეთი-  
საგან. მაქეს ფერხინ გრძელი, გარნა სუსტი; მაქეს  
შუცელი გაუმაძლარი. ხელთა ჩემთა უპყრის ყოველი  
ჰეყანა. თავი მაქეს მაღალი, გონებით არავის არ  
ვერხავსები, ენით ვარ მრავალ-მეტყველი და თვალე-  
ბით ურცხე. უკეთუ მე გამიცნოს ეინმემ, იქმნეს იგი  
მექავ, ულოცველ, მძინარ და უგუნურ. ზულისაგან  
მისისა მწუხარება არ განეშოროს, თვალთა მისთა  
სინათლე მოაკლდეს, გონება დაუჩლუნგდეს და საჭ-  
მელი ტებილი ვერ იგემოს. სასა მისი მალიად აღ-  
მოშრებოდეს, მუდამ სმიდეს, კვალიად ითვრებოდეს  
და ამ ნაირის უგუნურებით განვლიდეს დღეთა მის-  
თა. პალერია მასშინა გულის თქმანი ხორციელნი ყო-  
ველთა ზედა ბოროტთა განზრახვათა და შთავაგდო  
იგი ყოველთა მცნებათა ღეთისათა.

ამას მოგვითხრობს დამათრობელი სასმელი:  
უკეთუ გამიცნოს ეინმე თავადთაგანმა, უწინარეს ყოვ-  
ლისა გაეხადო იგი: ამპარტავან, მედილურ, უგუნურ,  
უაზრო, მრისხანე და უმოწყალო ხალხთა ზედა. იწ-  
ვებდეს იგი სმას თვისთა მევომართათანა ღამებით  
და იძინებდეს, ვიდრე შუადლებდე. იქმნას ყველასა-  
გან განკიცხულ და შეგინებულ — და ოთდესაც შთა-  
ვარდეს იგი საგონებელისა თვისსა, ბევრი იტიროს და  
ტირილისა მისისაგან ვერა რაი სარგებელი ნახოს.  
ამას მოგვითხრობს დამათრობელი სასმელი: უკეთუ  
გამიცნოს იღუმენმა, მღვდელმა ანუ ღრაკონმა, იქმნან  
იგინი არცა ღეთისა და არცა კაცისა, იყვნენ იბინი  
უველასაგან შეძულებულ და ხარისხი თვისი მათ და-  
კარგონ.

ამას მოგვითხრობს დამათრობელი სასმელი: უკე-  
თუ გამიცნოს ეინმე დიდებულთაგანმა, გაეხადო იგი  
ბოროტ, უმოწყალო და ვერცხლის მოყვარე. მეფე-  
თა და მთავართაგან იქმნას იგი განრისხულ და მოკ-  
ლებულ თვისსა ხარისხსა. მარადის სტიროდეს და  
იგლოვდეს უბედურობისათვის თვისისა.

ამას მოგვითხრობს დამათრობელი სასმელი:  
უკეთუ გამიცნოს ვაჭარმა ეინმე, მსწრაფლი

მო, დავაგლახაურ და მწუხარე ვკო იგი ყოველისაშინა.  
მლიდეს იგი სამოსლითა ძეელითა და ფეხ-საცმელი-  
თა დაგლეჯილითა. იწყოს მან კეთილთა კაცოაგან  
სეხხება ოქროსა და ეკრუხლისა, დაგირაებდეს ცოლ-  
სა და შეიღსა თერსსა. მლიდეს იგი კარის კარ და  
არავინ განიკითხებდეს, ხედიდენ რა მას უზომი-  
სიმთვრალესა და სილატაკესაშინა.

ამას მოგვითხრობს დამათრობელი სასმელი:  
უკეთუ გამიცნოს სოფლის კაცმა, ვატარი იგი ლხი-  
ნობასა შინა, სახლი მისი ღავაცარიელო, შთავაგდო  
იგი ვალისა შინა, ხოლო ცოშეილნი მისი მიესცე  
სხეათა მსახურად.

ამას მოგვითხრობს დამათრობელი სასმელი:  
უკეთუ გამიცნოს მონამან მეფისამან, ანუ თავადი-  
სამან, შეეძულო იგინი თავისა ბატონთა. იქმნან  
იგინი არცა გლეხ, არცა აჩნაურ და მოვიდნენ იგი-  
ნი გაუსწორებლობასა შინა მათის ზნეობისა.

ამას მოგვითხრობს დამათრობელი სასმელი:  
უკეთუ გამიცნოს ეინმე მოხუცებულთაგანმა, წარ-  
გართვა მას გონება, სიჭაბუჯე მისი ღავლუპო, გაეხა-  
დო ბოროტად, ხოლო ბარზედა უგულებელი  
ვკო და ღლენი სიმწარისანი მოუკლინო მას.

ამას მოგვითხრობს დამათრობელი სასმელი:  
უკეთუ გამიცნოს დედა-კაცმან, შევქმნა იგი: შთვრალ,  
მებაე და მსუქან. უკეთუ არაეინ განერილოს ბოროტ  
სიმთვრალეს, იქმნან იგი კერპ, შეჩენებულ. ძერპთა  
ვერ ძალუძსთ ქმნა კეთილისა და ბოროტისა, გარნა  
მემთვრალენი ყოველისა ბოროტსა იქმონან. უკეთუ  
სმიდეთ საღიდებელად ღეთისა, ვერა რა განებდეთ,  
რამეთუ მოციქული პავლე სწერს: «გინა თუ სჭამ-  
დეთ, გინა თუ სმიდეთ, გინათუ რასაცა იქმ-  
დეთ, ყოველისავე საღიდებლად ღეთისა იქმო-  
დეთ», (ა. კორ. თავი 10, მუხ. 31).

მთერალი არაემს არ იქმნების ლმობიერ, მუ-  
დამ სცოდავს, არ ინანებს და ემზგავსება ეშმაკეულს.  
ის იტანჯება ნებსით თერისით და ჩიზადებს საუკუნო  
სატანჯეელსა.

აშისათვის გლოცავ თქენ ძმანო, შეიგონეთ და ფხიზელ იქნენით, მოერიდეთ უზომო სიმთრალესა. მთვრალი კაცი მსგავსია ღორისა, რომელიც განურჩევლად დადის აქა იქ და თავისი უწმიდური ტუჩით შეუჩქნის მიწასა და ძირსა ეწახისასა. ლოთი კაცი ჭუბა-ჭუბა დაეთრევა, ყოველი კაცის სახლისა და ქოში უკითხავად შედის, ყველგან ყურს უგდებს და იყელს, თუ სად სმენ, ან სად არის ლხინობა? გლოცავ თქენ და გამცნებთ, ძმანო, რამეთუ მრავალნი დალუპულან უზომო სიმთრალითა. პაელე მოციქული ამბობს: «მემთვრალენი ვერ დაიმკიდრებენ სასუფეველსა ღორისასა, იგინი ერთბაშად განტჩრებიან ავაზაუთა თანა საუკუნესა სატანჯველსა შინა». რამდენი დიდებულნი და სათნომყოფელნი ღოთისანი დალუპულან უზომო სიმთრალითა. მეფენი მრავალნი განშორებულან სამეფოთა თეისთა. მღვდელ-მთავართა დაუკარგავთ სამღვდელ-მთავრო, ძლიერი დაუძლურებულა, მამაცი დალუპულა მახვილითა, მდიდარი გაღარიბებულა. ჯან-მრთელი დასწულებულა და სხვ. მემთვრალენი უღოთისენგებოდ იხოცებიან, ვითარება ნებით დამღრჩევალნი. სიმთრალესა შინა მკედარი, მკელელია თავისა, ის არის საძულელი ღოთისაგან და მეგობარი ეშმაკისა, ჯერ არს დაცა თავისა უზომო სიმთრალისაგან, რამეთუ სიმთრალით მოხდების ყოველივე ბოროტება. სიმთრალე ღუპავს გონებას, მუსრავს სიმრთელეს და ჰერგავს სარეგბლობას. უზომო სიმთრალე უმეტესად აქცევს, აღატაკებს და ამონავებს ხალხსა. ის ახდენს შეფოთსა და სიმძულეარეს ძმათა შორის, ის გამყრის მოსიყვარულე ცოლ-ქმართა. მისგან მოხდება მუქხლის კეთება, ხელების ცახვანი თვალის სიბნელე, ის ამანი-ჯებს პირის-სახეს და ხდის კაცა სასაცილო ფხიზელთა.

ვინ არის საძაგელი და საზიზლარი? ლოთი.

ვინ არის მეხაენ? ლოთი. ვისა აქეს თვალები დალურჯებული? ლოთი.

ვინ არის სახე შეცელილი? ლოთი. ვინა სწორს მუდამ? ლოთი. ვინ არის მეგინვარე? ლოთი. ვინ

ოხრაეს ყოველთვის? ლოთი. ლოთი არ გმხავსება არცკაცს, არც პირუტყეს, არამედ ეშმაკს.

ლოთის გან შორებული ყაფს ანგელოსი, ის მოულებულია ხალხისაგან. ლოთი პირდაუბშველი ენა ჭარტალა არის.

ვინ არის ღოთისათვის საზიზლარი? ლოთი. ვინ დაეთრევა ქუჩა-ქუჩა? ლოთი. ვინ არის შიშველი, რცხვენია და იმალება ხალხისაგან? ლოთი? ვინ ითრება მუდამ? ლოთი. ვინა კვდება ანაზდეულად? ლოთი. ვინ არის ყოველად უზრგავსი? ლოთი. ვის შთააგდებენ კუპრისა და გენიასა? ლოთი. ვის ამოდის პირიდამ სიმყრალე? ლოთისა.

ვინა სჭამს ყველაზე ადრე? ლოთი. ვის ეპარება ცისკრის ღოცა? ლოთი. ვინ არის ჭირეული, მოჩხებარი? ლოთი.

ვის აწვალებენ ნაირ-ნაირი სატანჯველითა? ლოთის.

ვინ ისერება ტალაში? ლოთი. ვინ დაეცა და გაიტება თავი? ლოთმა. ბლოცავ თქენ, ძმანო, რათა მოერიდოთ ბოროტ სიმთრალეს. უშესაბამოა უზომო სმა. რიგია წყალიც ზომიერად ისეას. ცოტას დალუედეთ ღვინოსა. პირეელი სასასმო მარგებდლია, მეორე გამამხიარულებელი, მესამე დამათრობელი, მეოთხე დამათრობელი, ხოლო მეხუთე შემაჩევნებელი და სამაცილეროა.

ძმანო, ნუ დაითერებით ღვინითა. ცეცხლი ახურებს ოქროსა, ვერცხლსა და რკინასა, ხოლო ღვინო სჯის გულსა კაცისასა. უკეთუ სმიდეთ ზომიერად, მუდამ ფხიზელი იყვნეთ და გონიერ, რამეთუ პირეელიდამვე ღვინო შექმნილ არს მხიარულებისათვის და არა უგუნურ სიმთრალისათვის. სულის სიმხიარულეა ზომიერად სმა, დამღუპველია სულისა უზომოდ ღვინის სმა.

სადმოთო წერილის სიტეგები საუკადღებოდ მემ-თვალებთა.

1) არა აღუთმენელ ღვინო და საყვეფრელ

სიმთხვალე, და ყოველი ცოფად მავალი ვერ იქმნება ბრძენ (იგ. სოლ. თ. 20, მუხ. 1).

2) ნუ იყოფი ღეინის შსმელ (იგ. სოლ. თავი 23, მუხ. 20).

3) კაცია ნაკლულევანსა უყვარს შევბა, ხოლო რომელსა უყვარდეს ღეინო და ზეთი, არა გამდიდრდეს (სოლ. თ. 21, მუხ. 17).

4) ეკალნი აღმოეცენებიან ხელსა შინა მემთვრალისასა (იგავი სოლ. თ. 26 მუხ. 9).

5) რამეთუ ყოველი მემთვრალე და მექავი, დაგლახაკდეს (იგ. სოლ. თ. 23, მუხ. 21).

6) ვისა ვაი, ვისა შფოთი, ვისა სასჯელ, ვისა ურეანი და ლალვა, ვისა შემუსრეა ამაოსაშინა, ვისა, ლიბრი ოვალნი? არა დამყოფელთა თუ ღეინოსა შინა და რომელნი არა ხედვენ, თუ სადა სმანი იქმნებიან. ნუ დაითვრებით ღენითა, არამედ ზრახველით კაცთა მიმართ მართალთა; რამეთუ უკეთუ ფიალობასა და ჭიქოვანსა მისცე თვალნი შენი, უკანასკნელი გაეჭნდეს სელად უშიშელეს საცენტროს ხისა, დასასრულ ვითარცა გველისაგან მოწყლული განეთხა, და ვითარცა კერასთავან განგეზას გული (იგ. სოლ. თ. 23 მუხ. 29).

7) სიმწარე სულისა, სმა მრავლის ღეინისა, ლალვათა შინა და წყევითა. ზანამრავლებს გულის წყრომასა უგუნურისასა სიმთვრალე, წაბორკილება-საჩედა შემამცირებელი ძალისა, და მომატოვებელი წყლულებასა (ზირაქი თ. 31, მუხ. 34).

8) ღეინოსა შინა ნუ განმხდები, რამეთუ მრავალნი წარწყმინდა ღეინომან (ზირ. თ. 31 მუხ. 29).

9) რისხვაა დიღი დედა-კაცი მემთვრალე და კდემასა თვისსა არა დაფარავს (ზირაქ. თ. 26 მ. 10).

10) რამეთუ ექნი ღეინითა შეცდომილნი არიან. შესცდეს თაფლუჭისა მიერ მღვდელი და წინასწარმეტყველი განკრთეს ღეინისა მიერ. შეირყინებს მთვრალობისაგან თაფლუჭისა შესცდეს, ეს იგი არა განკრთეს (ისაი თ. 28 მ. 7).

11) ვაი რომელნი გამძლერებენ თქვენ, რომელნი ღეინოსა სმენ და ძლიერი, რომელნი წდევნი თაფლუჭისა (ისაი თ. 5, მუხ. 22).

12) ვალა ღელებდეთ ღეინისათვის ყოველით კერძო, (ისაი თ. 24 მ. 11).

13) განიფრთხენით დამთვრალთა და სტიროდეთ: გოდებდით ყოველნი შსმელნი ღეინოსა სიმთვრალედ (იორლი თ. 1, მ. 5).

14) ეკრძალენით თაეთა თქვენთა, ნუ უკვე დამძიმდენ გულნი თქვენნი შურითა და მთვრალობითა, და ზრუნვითა ამა სოფლისათა, და მეყსეულად მოიწოს თქვენზედა ლე იგი (ლუკ. თავი 21, მუხ. 34).

15) რომელი შენის სიცოცხლისა მის მოძღვანებასა, ხუცესნი ფრთხილ იყვნედ ღირს-წმიდა, ცოცხალ სარწმუნოებითა... მოხუცებულნი დედანი ეგრეთვე დაწყნარებულებითა შეენიკ, ნუ მასმენელი, ნუ ღეინოსა ფრიადა მორჩილ (ტიტესი თავი 2, მუხლი 1).

16) ნუ დაითვრებით ღეინითა, რომლითა არს სიბილწე (ეფესელთა თ. 5 მ. 18).

17) ვითარცა დღესა შინა მშენერად ვიდონ დეთ, ნუ სიმღერითა და მთვრალობითა (რომაელთა თავი 13, მუხ. 13).

18) მემთვრალეთა სასუფეველი ღეთისა ვერ დამჟერდონ (1 კორინთ. თ. 6 მ. 10).

19) ხოლო აწ მიეწერ თქვენდა, ნუ თანა აღ-

რედიტ, უკეთუ ვინმე ძმა სახელ-დებულ იქვეს მექავ, ანუ ანგარ; გინა კერპ-მსახურ, ესე ერთარსა მითანა, ასულა სჭამოდ.

მღვ. მიხეილ გაკაშელოვანი.

დ ე დ ა ჭ რ ი ი ს ბ ა ს უ ხ ი.

პ. ა. წ—ლს. ჩვენი სალხისათვის მაინცა-და-მაინც საინტერესო არ არის ნ—ის ბორგ- რაოფენი მოთხოვთა. ცალკე წიგნი- გად ოუ დაბეჭდვთ, გარეს იზამთ.

ნ. მა—ოვს. თქვენ იწერებით: «ძლიერ რის წე- ლებით ვისწავლე თარიღებე ასოს წე- რა», და ესლავე დექსის წერასა- თვის კი მიგიუგით სედი!..

კ. ნ. ხუციმეს. უარისი სობოროზე ჩვენს უურნალ- ში არა დაბეჭდილა რა. რა კითხვა უნდა იმას, რომ ჩვენს მდვდელს წესის აგება არ უუძლია სსკა სარწმუნოების შირზე... წიგნაკან გამოიგზავნა სუდ ეჭვის მწერის.

პ. გ. მარ—ნიას. ამ ჩვენ აშინოვებს უკელანი იტრა- ბენ. ჩვენ გვაჭეს საჭმე გაცის მოქმედებასთან და არა მის სახელთან. თქვენი წერილი მივიღეთ და დადის სიამოვნებით წავიგითხეთ, მაგრამ ზო- გიერთ პატივსადებ მოსაზრებათა გამო გერ ებეჭდავთ.

მღვ. ჭ. გ—ქს. ნუ გეშინიათ! რადგან აგრე შე- უშერისხართ სიღარიბეს, შეგვიწევია ნახევარი წლის გაზეთის ფასი.

მღვ. ნ. ბ—ქს. სამი შეიდ კაპეიგიანი ფოსტის მარქა გამოგზავნეთ და მიიღებთ აღნათვებამ პრემიას... თქვენი ლექ- სები არ იძესდებიან.

მღვ. ნ. ლ—ქს. თქვენი სტატია: «ბავშვის, ზნეო- ბრივი და ცელიგიური აღზრდა» არ იძესდება. ასეთი ხწავლა საჭიროა ვერეთ მასწავლებელთათვის. იმ მოწავეს, რომელსაც აღმზრდელად უზნეთ და უწერმუნთ მოძღვარი ჰქვეს, გერ გასწორებს ვერც შესტა- ლოცის და კერც გამენსების სწავლა- დაიგება!..

კ. ე უ—შ—ქს. რადგან აგრე შეუწევებისხართ სი- ღარიბეს, გამოგზავნით გაზეთს, მაგრამ თქვენს საუბაოს არ ექნება ადგილი გაზეთში, რადგან კვარჩე უპერ იურ დაბეჭდილი ქადაგბა ჩვენს უურნალში.

მღვ. მ. გ—ქს. ერთობ დაგიგეანებით. დიდი სანაა უკელივრმა გაიარა!.. კარგი იზამთ, რომ ლექსების წერას თავს დაანე- ბებდეთ.

## ი ს ყ ი დ ე პ ი ა ნ

დეკანზი დავით ღამბაშიძისაგან შედგენილი  
და გამოცემული წიგნები:

თბილი ში: ზრიქუროების, ჩარკვიანის და  
ცენტრალურ წიგნის მაღაზიებში, მუთაის ში:  
შ. ჭილაძების წიგნის მაღაზიაში, უგირი-  
ლაში: თვით გამომცემელთან და ხონ ში:  
წერეფლის წიგნის მაღაზიაში.

## ს ა ქ ა ს ი ვ ე ლ ი ს ს ა ქ ე ვ ლ ე ს ი ს

ი ს ტ ი რ ი ა,

ფასი ყდით — ცხრა შაური

## ქ ა რ ი ა უ ლ ი ა ლ ი რ ც კ ა ნ ი ,

თვითა მეტყველობით, ქორონიკონით და მართლ-მადი-  
დებელი ექალესის უმაგრესი დღესასწაულების ისტო-  
რიული მოთხოვნით.

ფასი უყდით 30 კ. და ყდით 45 კ.

## ა ხ ა ლ ი ა კ ა რ ა ბ ა ლ ი ნ ი

ფასი ერთი მანეთი.

ეს წიგნი განხილული და ნება დართულია გავასიის  
საექიმო რჩევისაგან.

მღვდელთათვის საიდუმლოების შესრულე-  
ბის დროს საჭირო

## ს ა ხ ე ლ მ ძ ლ ვ ა ნ ე ლ ი ს წ ი გ ნ ი ,

ფასი ყდით ხეთი შაური.

ახალი სახულიერო კონსისტორიათა

## წ ე ს დ ე ბ უ ლ ე ბ ა ,

ფასი ყდით — 50 კ. და უყდით 40 კ.

## გ ვ ხ ე ი ს ტ ა მ ა ლ ი

ჭ

## წ მ ი დ ა ნ ი ნ ი ,

ქართველთ განმანათლებელი  
სურათებით ფასი 25 კ.

## გ ა ე ნ ა თ ი ს მ ი ნ ა ს ტ ე რ ი

და ცხოვრების აღწერა მეტის

## დ ა კ ი ს ა ღ მ ა შ ე ნ ე ბ ე ლ ი ს ა .

ფასი ექვსი შაური.

წმ. მოწამეთი დავით და კონსტანტინე

ჭ

მოწამეთის მინასტერი  
ფასი 5 გაპეივი.

სარწმუნოებრივი და ზნეობრივი შინაარსის  
და სახალხო საკითხავი წიგნაკები:

ვასილი ლილი,	სურათით — ფასი	2 კ.
მიხემა უფლისა,	„ „ „ :	2 —
ლილ-მარხვის ჭინ,	„ „ „ :	2 —
ხარება უოვლად წმიდა ღვთის- მშობლისა,	სურათთ	2 —
ბზობა სურათთ	„ „ „ :	2 —
ალდობა სურათთ	„ „ „ :	2 —
პონტოელი პილატეს მეუღლების წე- რილი თავის მეგობარ ქალთან	„ „	5 —
მეფე სოლომონ ბრძმენი, სურათთ	„ „	5 —
ცხოვრების დწერა წმ. მოც. სწორის ლილის პოვალის ვლადიგირისა	„ „	2 —
წმიდა ნინა ქართველთ-განმანათლებელი შიო-მცირიძის მონსტერი და ცხოვრების დღწერა ღირსისა მამისა ჩგენისა შიოსი	„ „	2 —
„	„ „	5 კ.

შინაარსი: სასურალი და საჭირო, რომ სულიერი მეუღლები იქნებოდა სამორჩილიდან. — სასოფლო  
მეურნეობისა და მრეწველობის ნაწარმოებთა გამოიყენის მროვლამდე. — «მწერების» ს კორექტონებულება. — საადა  
მშები და შენიშვნები. — სიტყვა, თქმული უოვლად და სამღვდელო იმერეთის ეპიკოპლის გმბრიელის მიერ. — სიტყვა გა-  
რიდე ფილოსოფისას უოველთა კაცთა მიმართ მათრობელ სამეცნიერო შესახებ. — რედაქციის შასუხა. — განცხადება.